პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

10 ივლისი, კვირა, 1988 წ.
№ 133 (9800) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშები

1988 II ВСЕСОЮЗНЫЕ ЛЕТНИЕ ЮНОШЕСКИЕ СПОРТИВНЫЕ ИГРЫ

# თამაშების დღიური

⊙ **აფროსნობა** (ტოლიატი). „470-ის" კლასში ოთხი რბოლის შემდეგ ჩვენი გოგონები V ადგილზე არიან, „ვინდგლაიდერში" ჭერჭერობით ასევე V შედეგი აქვთ ჭაბუკებს. საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრები 80 ქულით VII ადგილზე მიდის.

⊙ **კალათბურთი** (სარატოვი). ჩვენი ბიჭების გუნდი 8 უძლიერესს შორის ასპარეზობს. ამჯერად მათ ყაზახეთის ნაკრები დაამარცხეს—75:61 და ნახევარფინალში გავიდნენ. ახლა ლენინგრადელებთან შეხვედრაში გადაწყდება გავლენ თუ არა ქართველი კალათბურთელები ფინალში.

⊙ **თანამედროვე ხუთჭიდი** (უფა). დამთავრდა პირადი პირველობაც და შეჯამდა საერთო გუნდური შედეგები. საქართველოს წარგზავნილები საბოლოოდ VI ადგილზე გავიდნენ. გუნდურ პირველობაში, როგორც ვიუწყებოდით, ჩვენებს III ადგილი ხვდათ. დიდი დავა გამოიწვია მედლების საკითხმა. დებულებაში გარკვევით არაფერი ეწერა. გადაწყდა: უფროსი ასაკის ხუთჭიდელთა გუნდების მსგავსად, ჭაბუკებს გუნდურ პირველობაში მედლები არ გადაეცეთ. პირად პირველობაში IV ადგილი დაიკავა პროფკავშირთა სპორტული საზოგადოების წარმომადგენელმა თბილისელმა ვ. მაღლაფერიძემ — 5326 ქ. საერთო გუნდურ ჩათვლაში (გუნდური და პირადი შედეგების ჯამი) ადგილები ასე განაწილდა: 1. ბელორუსია, 2. რსფსრ, 3. ყაზახეთი, 4. უკრაინა, 5. ტაჯიკეთი, 6. საქართველო. პირველ თამაშებში ჩვენი ხუთჭიდელები IX ადგილზე იყვნენ.

⊙ **ჩოგბურთი** (კუიბიშევი). გოგონათა ასპარეზობა დამთავრდა. ჩვენი ნაკრები IX ადგილზე გავიდა, ბიჭები V ადგილისთვის ხვდებიან ლატვიის გუნდს.

⊙ **ბალახის ჰოკეი** (ვასილკოვო). ბიჭები. საქართველო—ყირგიზეთი 4:1. ეს იყო ჩვენი გუნდის ბოლო შეხვედრა. საბოლოოდ IX ადგილი.

⊙ **ხელბურთი** (ასტრახანი). ჩვენმა გოგონებმა (გამოდიან IX-XIII ადგილებისთვის მოასპარეზე კოლექტივებს შორის) მოუგეს თურქმენეთის თანატოლებს — 24:22.

## შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი

### მაია ჩიბურდანიძე — ნანა იოსელიანის მატჩი გაიმართება თელავში

**როგორც** ცნობილია, წელს სექტემბერ-ოქტომბერში ჩატარდება ქალთა შორის მსოფლიო პირველობის მატჩი, სადაც ერთმანეთს ხვდებიან მ. ჩიბურდანიძე და ნ. იოსელიანი. გადაწყდა, ეს ასპარეზობა მოეწყოს თელავში. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებით შეიქმნა მატჩის მომზადებისა და ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ჩხეიძე.

## ლაშა ჯანჯღავა—ლიდერთა შორის

**უჟგოროდში** დაიწყო სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა 56-ე ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ — საერთაშორისო ოსტატი იგორ ეფიმოვი, ოსტატი ლაშა ჯანჯღავა და ოსტატობის კანდიდატი გოჩა ტყებუჩავა.

ტურნირში, რომელიც შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად იმართება, თამაშობს 9 დიდოსტატი, 17 საერთაშორისო ოსტატი, 12 ოსტატი და 2 ოსტატობის კანდიდატი. I-VI ადგილებზე გასული მოჭადრაკეები მიიღებენ საკავშირო პირველობის I ლიგის ტურნირის საგზურებს.

4 ტურის შემდეგ 3-3 ქულით დაწინაურებულთა შორის არიან ჯანჯღავა, იონოვი, ულიბინი და ჰუსეინოვი. ეფიმოვსა და ტყებუჩავას 2-2 ქულა აქვთ.

### ელვა-ინფორმაცია

**ბათუმი.** გუშინ აქ დამთავრდა ფრენბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების მეორე ეტაპის შეჯიბრება ვაჟთა შორის. გაიმარჯვა ცსკა-ს მეორე გუნდმა. მეორე ადგილზეა თბილისის, მესამეზე — ცსკა-ს პირველი ნაკრები.

**„თანამედროვე აგრარული პოლიტიკის ძირეული საკითხებია სოფლის სოციალური გარდაქმნა, სოფლად შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება" — ეს სტრიქონები ჩაწერილია სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის რეზოლუციაში.**

აჭარის ასსრ-ის მაგალითზე სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის პრობლემებზე და მუშაობის გარდაქმნის გზებზე იმსჯელა საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა (იხ. მე-2 გვ.).

დაინიშნა ახალი ხელმძღვანელი

# შესაძლებლობებს გამოყენება უნდა



**ბუხუტი გურგენიძის სახელს კარგად იცნობს ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობა და ჭადრაკის სამყარო, ამიტომ მას მკითხველის წინაშე განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიამ ამ ცოტა ხნის წინათ ბუხუტი გურგენიძე თბილისის ჭადრაკის სასახლის დირექტორად დაამტკიცა, შემდეგ კი მას რესპუბლიკის სპორტსახკომის ჭადრაკის განყოფილების ხელმძღვანელობაც დაევალა.**

**ჩვენს გაზეთში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, ახალი ხელმძღვანელი „ლელოს" მკითხველებთან სასაუბროდ მოვიწვიეთ.**



**⊙ ბატონო ბუხუტი, თქვენ ყოველთვის ქართველი მოჭადრაკეების ავანგარდში იდექით, მაგრამ იქ მხოლოდ შემოქმედება და სპორტული ჭიდილი იყო. რამ გამოიწვია თქვენი გადასვლა ადმინისტრაციულ სამსახურში?**

— მინდა ჩემი გამოცდილება საქართველოში ჭადრაკის განვითარებას მოვახმარო. ყველამ კარგად იცის, რაოდენ გაიზარდა ჩვენში ჭადრაკისადმი ინტერესი. ეს არ შეიძლება არ გვახარებდეს. ამ საყოველთაო დაინტერესებას საყოველთაო აჟიოტაჟიც ახლავს. დიდ წარმატებებთან ერთად ბევრი სატკივარიც გვაქვს. დღევანდელი დღე სად ატმოსფეროს და საქმისადმი პროფესიონალურ დამოკიდებულებას მოითხოვს. ქართული ჭადრაკის ტრადიციები, განსაკუთრებით ქალთა ჭადრაკისა, ჩემს თვალწინ იქმნებოდა, მტკიცდებოდა და ღრმავდებოდა, ასე რომ, ვფიქრობ, შევძლებ, რაღაც სარგებლობა მოვუტანო ჩვენს სპორტს.

**⊙ რაკი საქმეს ხელი მოჰკიდეთ, ალბათ მუშაობის გარდაქმნის გეგმაც გექნებათ ჩაფიქრებული.**

— პირველ ყოვლისა, ისეთი მტკიცე საფუძველი უნდა შევუქმნათ ვაჟთა ჭადრაკს, რომ ექსტრაკლასის დიდოსტატი გავზარდოთ, სრულვყოთ და გავაღრმავოთ ქალთა ჭადრაკის სისტემა. სისტემაში რაღა თქმა უნდა, მემკვიდრეობითობის უწყვეტობასაც ვგულისხმობ.

**⊙ თქვენი აზრით, რით აიხსნება ქართველ მოჭადრაკე ქალთა ფენომენი?**

— ბევრი ამ ფენომენს ისტორიულ წარსულში ქართველი ქალების როლს და ქართულ ყოფაში ჭადრაკის კულტს უკავშირებს, ეს მიამიტობაა. მაშინდელი ნებისმიერი გათამაშებული პარტია მოყვარულის დონეს ვერ გასცდებოდა. ყველაფერი ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილის მოსვლამ განაპირობა. ქართველმა ქალებმა იწამეს,

იხ. მე-2 გვ.

მკითხველი ითხოვს განმარტებას

# რატომ არ შესრულდა დანაპირები?

**გვესაუბრება საქართველოს ჭაბუკ ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი ანზორ მარტყოფლიშვილი:**

„**ლელოს**" მკითხველებმა იციან: საქართველოს ძიუდოისტებმა ჭაბუკთა თამაშებში დაიკავეს გუნდური მეორე ადგილი, პირად პირველობაში კი მოიპოვეს ოთხი ოქროს, სამი ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი. ჩემი აზრით, გუნდი ურიგოდ არ იყო მომზადებული და პირველი ადგილის დაკავებაც შეეძლო — ამას ადასტურებს თუნდაც ის, რომ ცხრა წონითი კატეგორიიდან შვიდში ქართველმა ძიუდოისტებმა ფინალში იჭიდავეს.

მოგეხსენებათ, ჩვენი გულშემატკივრები ძიუდოისტთა გუნდისგან მხოლოდ პირველ ადგილს ელიან. ცხადია, ახლაც იკითხავენ, რამ შეგვიშალა ხელი ამ ამოცანის შესრულებაში. ვეცდები დავაკმაყოფილო მათი ცნობისმოყვარეობა. პირველი ადგილისთვის ბრძოლა, უმთავრესად, გაგვიძნელა იმან, რომ ჩვენს მთავარ მეტოქეს, რუსეთის ფედერაციის კოლექტივს, ჭაბუკთა მეორე თამაშების დებულებით, ხუთი გუნდით ასპარეზობის უფლება მიეცა და მათ ორმოცდახუთი სპორტსმენით დაიწყეს ტურნირი. საქართველოდან კი თამაშებზე 25 სპორტსმენი ანუ სამი გუნდი გაემგზავრა. ეს სამი გუნდიც ყველა უძლიერესი მოჭიდავით როდი დაკომპლექტდა. შეჯიბრებამდე ორი თვით ადრე შეიცვალა ჭაბუკთა თამაშების დებულება, ძიუდოისტთა ტურნირის გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ რესპუბლიკის ნაკრების შედეგები უნდა გათვალისწინებულიყო, ლოთ ბრძოლა, მათ მიერ მოპოვებული ქულები რესპუბლიკის ნაკრებს არ ეთვლებოდა. თანაც, მეორე და მესამე გუნდები აუცილებლად რეგიონული პრინციპით უნდა დაკომპლექტებულიყო, ესე იგი, რომელიმე ქალაქის ან რაიონის გუნდები უნდა გამოგვეყვანა. იძულებული გავხდით არჩევანი შეგვეჩერებინა თბილისისა და ლი. მართალია, ძირითადმა გუნდმა ბრწყინვალედ იასპარეზა, მაგრამ ძველი დებულების მიხედვით შედგენილი გეგმა ვერ შევასრულეთ. არადა, გარწმუნებთ, თავი არავის დაუზოგავს, არც მოჭიდავეებს, არც მათ მწვრთნელებს — ახმეტელ ტარიელ შათირიშვილს, რომლის შეგირდებმა, სხვათა შორის, სპორტსკოლების აღსაზრდელთა კონკურსში მეორე ადგილი დაიკავეს, ქუთაისელ



ახმეტის გუნდებზე, ამიტომ ბევრ კარგ გორელ, ქუთაისელ, საგარეჯოელ, სოხუმელ და თელაველ მოჭიდავეზე უარი ვთქვით — ახალი დებულებით მათი გაერთიანება, ერთ გუნდად შეკვრა არ შეგვეძლო. ამ ვითარებით რუსეთის ფედერაციის კოლექტივმა, ცხადია, უკეთ ისარგებლა — მათ ხუთი სრულფასოვანი გუნდი გამოიყვანეს 1. პირველი ნაკრები, 2. ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის, 3. კურსკის, 4. ვოლგოგრადის და 5. გორკის ოლქების კოლექტივები. ამიტომ იყო, რომ საქართველოს ძიუდოისტებმა სრულად ვერ გამოიყენეს თავისი პოტენციალი, ბევრი ძლიერი მოჭიდავე, რესპუბლიკის ნაკრების მეორე ნომერი, შინ დარჩა. დებულების შეცვლით გამოწვეულმა ახალმა ვითარებამ არარეალური გახადა ის ამოცანა, რომელიც ჩვენ კარგა ხნით ადრე დაგვისახეს — ცამეტი მედაომარ მერაბიშვილს, სოხუმელ როლანდ მაისურაძეს, დუშელ მერაბ ლოსეურაშვილს, თბილისელებს ვახტანგ კბილაშვილს და ომარ გულისაშვილს, გუნდის უფროსს ჯუმბერ ჯლუთაშვილს, მიზანს კი, სამწუხაროდ, მაინც ვერ მივაღწიეთ.

• **სურათზე:** (მარცხნიდან) პირველ რიგში — გუნდის უფროსი ჯ. ჯლუთაშვილი, გია გაჩეჩილაძე, ვეფხია ავალიანი, მამუკა აბრამიშვილი, ზურაბ სამუკაშვილი; მეორე რიგში — მწვრთნელები ტ. შათირიშვილი და შ. ხაბარელი; გრიგოლ გავარდაშვილი, უფროსი მწვრთნელი ა. მარტყოფლიშვილი, ბადრი დილებაშვილი, დავით ხახალეიშვილი, გია კირაკოზაშვილი, ვასილ ომარაშვილი; მესამე რიგში — მწვრთნელები მერაბ ლოსეურაშვილი, ომარ მერაბიშვილი, ომარ გულისაშვილი.

**რედაქციისაგან:** არ შეიძლება არ დავეთანხმოთ საქართველოს ჭაბუკ ძიუდოისტთა ნაკრების უფროს მწვრთნელს ანზორ მარტყოფლიშვილს იმაში, რომ გუნდის ყველა წევრს, მწვრთნელებს ენერგია და მონდომება არ დაუკლიათ, რათა სეზონის ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებაში ღირსეულად გამოსულიყვნენ. ისიც ცხადია, რომ ძიუდოს განვითარებას საქართველოში სათანადო ყურადღება ექცევა. ეს, სხვათა შორის, აღნიშნა კიდეც გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" 9 ივლისის ნომერში საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელმა ვ. კუზნეცოვმა, რომელმაც მოწინავე რეგიონთა შორის მხოლოდ რუსეთის ფედერაცია, საქართველო, უზბეკეთი და ლიტვა დაასახელა.

ისიც სწორია, რომ ჭაბუკთა თამაშების დაწყებამდე ორი თვით ადრე დებულების შეცვლამ გარკვეული სიძნელეების წინაშე დააყენა ჩვენი გუნდი. მაგრამ ამ პირობებშიც საქართველოს ნაკრებს უკეთ გამოსვლა მაინც შეეძლო. რა გვაქვს მხედველობაში, როცა ასეთ ვარაუდს ვაყენებთ?

პირველ ყოვლისა ის, რომ ჩვენი გუნდი 57 კგ წონით კატეგორიაში, ფაქტიურად, შეუვსებელი დარჩა: არჩილ ჩოხელი სასტარტო შეხვედრაშივე დამარცხდა ყირგიზეთის წარმომადგენელ ბაშირ კამურზაევთან. მდგომარეობის გამოსწორება შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ კამურზაევი მომდევნო შეხვედრებში იმარჯვებდა და ჩოხელს თან „გაიყოლიებდა". მაგრამ იგი მეორე წრეში თავად დამარცხდა, გამოეთიშა ბრძოლას და ჩოხელსაც წინსვლის გზა გადაეკეტა.

რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა თამაშებში 270 ქულა დააგროვა, საქართველომ — 240. აი, ეს 30-ქულიანი სხვაობა სწორედ 57 კგ წონით კატეგორიაში წარუმატებელ გამოსვლაზე მოდის.

და კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი: რუსეთის ფედერაციის მოჭიდავეებმა სამი პირველი, ოთხი მეორე, ერთი მესამე და ერთი მეხუთე ადგილი დაიკავეს — ქულები ფაქტიურად ყველა წონაში მიიღეს. საქართველოს გუნდს კი შესაბამისად ოთხი პირველი, ორი მეორე, ერთი მესამე და ერთი მეშვიდე ადგილი ჰქონდა (ერთ წონაში, როგორც ვთქვით, კოლექტივი შეუვსებელი დარჩა) და სხვაობაც გუნდურ ჩათვლაში სწორედ ამ შეფარდებამ განაპირობა.

# განუკითხაობა და მისი შედეგები

ხარვეზებზე — [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ⊙ ხულოს რაიონის სოფლებში 21 ფიზკულტურის მეთოდისტი დაითხოვეს სამსახურიდან
- ⊙ კულტურულ-სპორტული კომპლექსები ან არ შექმნეს, ან შექმნეს და ქაღალდზე დარჩა
- ⊙ სად და როგორ მოამზადეს 12639 მშდ-ს ნიშნოსანი?
- ⊙ სავაჟრო ორგანიზაციები სტადიონზე
- ⊙ სოფელ ხუცუბნის საჭიდაო დარბაზს საშხაპეები არა აქვს, მის ადგილზე ალკოჰოლიანი სასმელების დუქანი გახსნეს
- ⊙ გამოკეტილი სასკოლო სპორტული დარბაზები — აჰა სურათ განათლების მუშაკებს

სოფელი ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების განსაკუთრებული ყურადღებითაა გარემოსილი. სწორედ ამ ზრუნვის შედეგია, რომ ბევრგან კვლავ გაცოცხლდა კერა ნასახლარებზე, სიცოცხლეს იბრუნებს მთის მიტოვებული ადგილები, იქმნება ახალი დასახლებები. პრობლემებში, რომელიც კომპლექსურად წყდება, არც ფიზკულტურა და სპორტია დავიწყებული. სოფლად ფიზკულტურულ-მასობრივი საქმიანობის გაშლა დიდ და სერიოზულ ამოცანადაა მიჩნეული. ამ მუშაობას ახლა სათავეში უდგას პროფკავშირთა სპორტული საზოგადოება.

რესპუბლიკის პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე იშვიათად როდი იხილავენ ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებს, მაგრამ საგანგებოდ რომ ემსჯელათ სოფლად სპორტული ნაგებობების მდგომარეობისა და ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხზე, ასეთი რამ მართლაც იშვიათია. საქმე ეხება აჭარის სოფლის რაიონებს.

ამონაწერი პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებიდან: „მოსახლეობის უმრავლესობა მოკლებულია ფიზკულტურისა და სპორტის, ტურიზმის სიკეთეს. ეფექტურად არ იყენებენ ისედაც არასაკმარო რაოდენობის სპორტულ ბაზებს, არ ზრუნავენ მოსახლეობის გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მისაზიდავად, ან რა ღონისძიებებზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მთელს აჭარაში სოფლად საშხაპით მხოლოდ 38 კაცს შეუძლია ისარგებლოს“. დაგვეთანხმებით, მეტად დამაფიქრებელი ფაქტებია. და კიდევ აი, ასეთი სტატისტიკა: აჭარაში წელიწადში ერთ ფიზკულტურელზე იხარჯება 2 მანეთი და 80 კაპიკი, მაშინ როცა საშუალო საკავშირო მაჩვენებელი 37 მანეთია. სპორტულ ნაგებობათა ღირებულებიდან ერთ სულ მოსახლეზე უნდა მოდიოდეს 40 მანეთი, აჭარაში კი ეს თანხა ხუთ მანეთსაც არ აღწევს. სპორტნაგებობების ქსელის გამტარუნარიანობა აჭარაში 1,4 პროცენტია, საერთო საკავშირო მაჩვენებელი კი 11 პროცენტს უდრის.

საგანგაშოა სოფლად ფიზკულტურულ კადრებთან მუშაობის საკითხი. თავი იჩინა ინსტრუქტორ-მეთოდისტთა საშტატო ერთეულების მასობრივად გაუქმების ტენდენციამ. 1987 წელს სამუშაოდან დაითხოვეს 32 მეთოდისტი. აქედან შუახევის რაიონში — 11, ხულოს რაიონში ყველა — 21. აღსანიშნავია, რომ ამჟამად მომუშავე 69 ინსტრუქტორ-მეთოდისტიდან ნახევარზე მეტს არ გააჩნია სპეციალური ფიზკულტურული განათლება... ხულოს რაიონში კი 40-მდე სპეციალისტი სხვა სფეროში მუშაობს.

არის სხვა ფაქტები, რომელიც შეშფოთებას იწვევს. მაგალითად, საქართველოში არსებული სულ 109 კულტურულ-სპორტული კომპლექსიდან აჭარაში მხოლოდ 2 მოქმედებს (ქობულეთისა და ხულოს რაიონებში). ქედისა და ხელვაჩაურის რაიონებში კი ასეთი კლუბები მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. სოფლის ფიზკულტურის კოლექტივებში არ ტარდება საწარმოო ტანვარჯიში, არც ერთ რაიონში არ არის საცურაო აუზი, არ გააჩნიათ სტანდარტული სასროლო ტირი. ყოველივე ამის გათვალისწინებით ძნელია ირწმუნო, რომ აჭარის სოფლებში 12639 მშდ ნიშნოსანი, ე. ი. მოსახლეობის 10,9 პროცენტი მომზადდა.

ფორმალიზმის ტყვეობაშია აგრეთვე აჭარის პროფკავშირული ორგანიზაციების ფიზკულტურისა და სპორტის მოყვარულთა და ბავშვთა და მოზარდთა კლუბების საქმიანობა. აქ ყოვლად უსუსურად გამოიყურება პროფკავშირთა აჭარის საოლქო საბჭო (თავმჯდომარე ამხ. ა. მეგრელიძე). არ იგრძნობა საბჭოს მაორგანიზებელი როლი და არ ხორციელდება პროფკავშირებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებში წამყვანი ორგანიზაციის ფუნქციის უფლება. სოფლად ისედაც არასაკმარისი რაოდენობის სპორტნაგებობებს ცუდად იყენებენ, არ უფრთხილდებიან, არ უვლიან მათ.

ადგილობრივი პროფკავშირული და სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკების გულგრილი დამოკიდებულების შედეგია, რომ 1982 წლიდან ქობულეთის ცენტრალური სტადიონის ტრიბუნების ქვეშ — 500 კვ. მ. თავისუფალი ფართობი მთლიანად სავაჭრო ორგანიზაციებმა და მომხმარებელთა კავშირმა დაიკავა და მთელი ამ ხნის განმავლობაში იჯარის თანხაც არ გადაუხდიათ. სავალალო მდგომარეობაშია ქობულეთის სტადიონი, უვარგისია საფეხბურთო მინდვრის საფარი, სრულ უწესრიგობაშია სარბენი ბილიკები, მოუწყობელია ტრიბუნები.

ამავე რაიონში სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის საჭიდაო დარბაზს დღემდე არ აქვს გასახდელები და საშხაპეები, მაშინ როცა ეს ადგილი სპირტიანი სასმელებით (?!) მოვაჭრე მაღაზიას უკავია. აჭარის სოფლის რაიონებში არსად არ იყენებენ სასკოლო სპორტულ დარბაზებს გაკვეთილებიდან თავისუფალ დროს. ქედის რაიონის განათლების განყოფილება საერთოდ ამ ღონისძიების წინააღმდეგ გამოვიდა. ფასიანი მომსახურება მხოლოდ ქობულეთისა და ქედის რაიონების სტადიონებზეა, ისიც ძირითადად საფეხბურთო აბონემენტებისა და ბილეთების რეალიზაციის ხარჯზე. მთელს ავტონომიურ რესპუბლიკაში არ არის სპორტინვენტარის გაქირავების არც ერთი პუნქტი, არადა, საამისო პირობები გააჩნიათ როგორც საკურორტო ზონებში, ისე ეზოებსა და საცხოვრებელ ადგილებში. აგრეთვე მარტივი ტიპის მოედნებთან, გამაჯანსაღებელ ზონებთან, კულტურისა და დასვენების პარკებში და ა. შ.

ამის შემდეგ გასაკვირი აღარ არის, რომ აჭარის სასოფლო რაიონებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში ფასიანი მომსახურება ერთ სულ მოსახლეზე მხოლოდ 10 კაპიკია, საქართველოში საშუალო რესპუბლიკური მაჩვენებელი კი 1,20 მანეთია.

ეს ნაკლოვანებები არ იქნებოდა, რომ სპორტსაზოგადოებას განზე არ ედგნენ აჭარის აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა დარგობრივი პროფკავშირი (თავმჯდომარე ი. არძენაძე) და სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი (თავმჯდომარე ს. ინაშვილი). მათ ნაკლებად აწუხებთ სოფლად ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საკითხები. ამ საკითხებზე, აგრომრეწვის სახელმწიფო კომიტეტს ერთხელაც არ უმსჯელია კოლეგიაზე. დარგობრივმა პროფკავშირის კომიტეტმა კი ერთხელ განიხილა საკითხი (ქობულეთის რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შესახებ) და ისიც ფორმალურად, მიღებული დადგენილება არაკონკრეტულია და შესრულების მიმდინარეობა არავის შეუმოწმებია.

მომთხოვნელობის შესუსტებას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი პროფკავშირების აჭარის საოლქო საბჭოს (თავმჯდომარე შ. ოქროპირიძე) სრულმა უყურადღებობამ. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ პრეზიდიუმის სხდომაზე ერთხელაც არ განუხილავთ სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა თუ სასოფლო რაიონებში სპორტული ნაგებობების მდგომარეობის და ეფექტიანად გამოყენების საკითხები.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა უმკაცრესად შეაფასა ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები და მიიღო ვრცელი დადგენილება, რომელშიც დასახულია ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული გზები.

ამ დადგენილების შესრულებას საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი დაუბრუნდება 1990 წელს.

**რედაქციისაგან:** რაც ზემოთ ითქვა, მხოლოდ ერთი რეგიონის პრობლემა როდია. საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი შეეცადა აჭარის მაგალითზე გაემახვილებინა რესპუბლიკის ცალკეული რაიონებისა და რეგიონების ყურადღება იმ საკითხებზე, რაც მთავარი და საკვანძოა მოსახლეობასთან ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში.

დადგენილებაში მოტანილი კონკრეტული ციფრები და ფაქტები ყველა ხელმძღვანელს შესაძლებლობას მისცემს ძირითადი მაჩვენებლებით აკონტროლოს და შეაფასოს ადგილებზე გაწეული მუშაობა, ბოლო მოუღოს ფიზკულტურასა და სპორტში ყალბ სტატისტიკურ მაჩვენებლებს. საქართველოს პროფსაბჭოს ეს დადგენილება, როგორც განსაზოგადოებელი დასკვნების დოკუმენტი, მრავალმხრივაა საყურადღებო.

# შესაძლებლობებს გამოყენება უნდა

დასასრული

რომ შეიძლება ყველა მაღალი მწვერვალის დალაშქვრა. ქალთა ჭადრაკი შეიჭრა ქართულ ოჯახში და ნამდვილი ბუმი გამოიწვია. ამას დაუმატეთ ტალანტი, ჩვენი ქალების ტრადიციული პუნქტუალურობა და შრომისმოყვარეობა, მთავრობის, ოჯახის, ჩვენი მოჭადრაკე ვაჟების ყოველმხრივი დახმარება და ყველაფერი ცხადი გახდება, ამჟამად არც ერთ ქვეყანაში არ დგას ქალთა ჭადრაკი ისეთ პროფესიულ დონეზე, როგორზეც ჩვენთან.

**⊙ ვაჟთა ჭადრაკი ქალების ფონზე ჩრდილში მოექცა. საქმე რომ ადგილიდან დაიძრას, მიზანთან მისასვლელი გზები უნდა მოიძებნოს...**

ვაჟთა ჭადრაკი მდიდარი ფანტაზიის მქონე ნოვატორთა ჭადრაკია. აქ გაცილებით მეტი კონკურენციაა. დასაძლევი სიმაღლეც სხვაა. წარმატების მისაღწევად ნამდვილი სპორტული გმირობის გამოჩენაა საჭირო. ექსტრა კლასის დიდოსტატს მომზადება უნდა, მომზადებას კი დიდი შრომა სჭირდება. კასპაროვი ავიღოთ. იგი ხომ ბავშვობიდან გიგანტურ შრომას ეწეოდა. ფიშერი, მაგალითად, ორი თვით ჩავიდა იუგოსლავიაში, ჩაიკეტა სასტუმროში და... თურმე გასული საუკუნის იუგოსლაველ მოჭადრაკეთა პარტიებს სწავლობდა. კითხვაზე თუ რად უნდოდა ძველი პარტიების შესწავლა, ფიშერს ასეთი პასუხი გაუცია: თუ მსურს მსოფლიო ჩემპიონი გავხდე, ყველაფერი უნდა ვიცოდეო. ჩვენ გვყავს ნიჭიერი მოჭადრაკე ვაჟები, მაგრამ მათ ვერაფრით ვერ დაძლიეს ფსიქოლოგიური ბარიერი. გინახავთ მაია ჩიბურდანიძე თამაშის პროცესში? ნებისმიერ პოზიციაში იგი თავს ახვევს მეტოქეს თავის ნებისყოფას და მაყურებელსაც განაწყობს საკუთარი უპირატესობის რწმენით. ეს თვისება დიდი წარმატებების შედეგადაა შექმნილი. საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე, როდესაც ყველანი ერთ მაღალ მიზანს ვისახავდით, საქართველოს ნაკრები ყოველთვის შესანიშნავად გამოდიოდა. ესე იგი, ვაჟებს შესძლებიათ თამაში. სამწუხაროდ, ჩვენში ვაჟთა ჭადრაკი გათიშულია. არ გვაინტერესებს და არ ვფიქრობთ ერთმანეთში შემოქმედებით თანამშრომლობაზე. მაგალითად, უკრაინელებმა ჩერნინმა და გურევიჩმა შექმნეს შემოქმედებითი წყვილი და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს. თანამშრომლობის ფართოდ დანერგვით ინგლისელმა მოჭადრაკეებმა მსოფლიო მასშტაბით წამყვან პოზიციებზე გადაინაცვლეს. უმაღლეს ლიგაში გასვლა იმდენად ძნელია, რომ ნებისმიერ მოჭადრაკეს გაუჭირდება პირველი ლიგის ბარიერის სისტემატურად დაძლევა. თუ ქართველი მოჭადრაკეები საერთო ინტერესებს პირად ინტერესებზე მაღლა დააყენებენ, ერთმანეთის დახმარებით შეძლებენ ამ ფორუმზე ყოველწლიურად გვყავდეს ჩვენი წარმომადგენელი. აუცილებლად უნდა მივაღწიოთ, რომ თბილისში ტარდებოდეს ვაჟთა „სატრამპლინო შეჯიბრებები“. ეს ძალზე აამაღლებდა ჩვენს რესპუბლიკაში ჭადრაკის თამაშის საერთო დონეს. უნდა ვეძებოთ ტალანტები ბავშვთა ჭადრაკში, გავაუმჯობესოთ მწვრთნელთა მუშაობა, მთელი სასწავლო პროცესი მეცნიერულ დონეზე უნდა წარიმართოს და მუშაობა ისე არ უნდა მიდიოდეს, ვის როგორ მოესურვება და ვის როგორ ესმის. რესურსებს — გნებავთ მორალურს, გნებავთ მატერიალურს, თანაბრად უნდა ვანაწილებდეთ და ვუფრთხილდებოდეთ. ულევი და ამოუწურავი არაფერია. ერთი სიტყვით, შესაძლებლობებს გამოყენება უნდა.

**⊙ ბევრი ამბობს, რა მოხდა, ვაჟთა ჭადრაკი თუ ჩამორჩება, სამაგიეროდ, ქალთა შორის ჩემპიონები გვყავსო. თქვენ ეთანხმებით ამ აზრს?**

— რა თქმა უნდა, არა. ქართველები მაქსიმალისტები ვართ, თანაც შეგვწევს უნარი, რომ ქალებშიც გვყავდეს გამორჩეული ტალანტები და ვაჟებშიც.

**⊙ ახლა ბევრს ლაპარაკობენ კომპიუტერულ ტექნიკაზე, ჩვენთან როგორაა საქმე?**

— ეს საკითხი დიდი ხანია დგას დღის წესრიგში და, თუ ჩქარა არ გადაიჭრა, დროს ჩამოვრჩებით.

**⊙ ჭადრაკის სასახლე რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის განვითარების თეორიული ხელმძღვანელობის მთავარი ცენტრი უნდა იყოს. როგორ ასრულებს იგი ამ ფუნქციას?**

— ჯერჯერობით ვერაფერს დავიტრაბახებთ, დიდი მუშაობა გვმართებს.

**⊙ ახლა სპორტული ბაზებიც გადადიან სამეურნეო ანგარიშზე, თქვენ რა ბედი მოგელით?**

— უნდა შემოვიკრიბოთ იურიდიული წევრები, მოვაწყოთ სეანსები, ტურნირები, ჩავატაროთ ლექციები, საჭადრაკო ფესტივალები, უნდა გავაფართოოთ მოსახლეობის ფასიანი მომსახურება, გავხსნათ ფასიანი ჯგუფები. გვინდა სახალხო განათლების სამინისტროსთან ერთად გადავჭრათ კონკრეტული საკითხები. ცხადია, შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო იქნება იჯარით მიღებული თანხა. ჩვენ შეგვიძლია მოსახლეობას გავუწიოთ სამსახური კულტურის სხვადასხვა სფეროში. კიროვის პარკში ბევრი ხალხი იყრის თავს, აქ რჩებიან გვიან ღამემდე. ალბათ მათთვის ღამის ჭადრაკსაც დავნერგავთ. ხოლო, როცა ალპიური კლუბი ჩვენი სასახლის პირველ სართულს დაცლის, გავაფართოებთ ბავშვებთან მუშაობის ქსელს და მოვაწყობთ რეაბილიტაციის ცენტრს.

**⊙ როგორ წაადგება საქმეს ჭადრაკის სასახლის დირექტორისა და სპორტსახკომის ჭადრაკის განყოფილების უფროსის თანამდებობების შეთავსება?**

— მუშაობის კოორდინაციისათვის ასე აჯობებს. საჭიროა ბიუროკრატიული მექანიზმისგან განთავისუფლება, საჭადრაკო მოძრაობის ორომტრიალში საქმიანი ვითარების დამკვიდრება.

**⊙ არის თუ არა მოსალოდნელი ჭადრაკის საყოველთაო დანერგვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში?**

— ექსპერიმენტი მიმდინარეობს და შედეგებიც არ არის ურიგო.

**⊙ ბოლო წლებში ჩვენში ბევრგან გაიხსნა საჭადრაკო კლუბები, თვლით თუ არა ამ კლუბებს თქვენს „ფილიალებად“?**

— ახლა საქართველოში ორმოცამდე ასეთი კლუბია. მათი სრული უკუგებით მუშაობის საკითხის გადაჭრა ჯერ კიდევ მომავლის საქმეა. პირველ ყოვლისა, ამ კლუბების ატესტაციას ჩავატარებთ, ხოლო მათთვის მეთოდური დახმარების გაწევა ჭადრაკის სასახლის წესდების ერთ-ერთი პუნქტია. გარდა ამისა, საქართველოს სპორტსახკომის ბრძანებით უკვე დავნიშნეთ კონსულტანტი-ინსპექტორები როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ზონებში.

**⊙ როგორ შევაყვაროთ ბავშვებს ჭადრაკი?**

— ძალდატანების მეთოდი აქ არ გამოდგება. ბავშვი უნდა გაიტაცოს ჭადრაკმა, თორემ ყველაფერი ფუჭად ჩაივლის. პირად მაგალითს მოგიყვანთ. ჩემს კლასში ყველა მოწაფეს შეეძლო თამაში დაფაზე დაუხედავად. ეს ალბათ უნიკალური შემთხვევაა. იმ პერიოდში ჩვენში საჭადრაკო თეორიას პატივს არ სცემდნენ, სამაგიეროდ, სისტემატური თამაშით, ტურნირებში მონაწილეობით მივიღე ისეთი პრაქტიკა, რომ საკავშირო ჩემპიონატის ფინალში გავედი. ჩემი შვილებისთვის ჭადრაკის თამაში არ მისწავლებია, არ გამოიჩინეს მისწრაფება.

**⊙ ჭადრაკის დანერგვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, კლუბები... ამას ხომ კადრები სჭირდება.**

— კადრების მომზადება მთავარ ამოცანად რჩება, მაგრამ ამავე დროს გონივრულად უნდა გავანაწილოთ და გამოვიყენოთ მათი შესაძლებლობებიც, ვინც უკვე სპეციალისტად ითვლება. უნდა გაუმჯობესდეს ფიზკულტურის ინსტიტუტის ჭადრაკის კათედრის მუშაობა და გაიზარდოს ინსტიტუტში შემსვლელთა რიცხვი. რაც მთავარია, სწავლის დამთავრების შემდეგ ეს კადრები აუცილებლად უნდა დაბრუნდნენ თავიანთ რაიონებში.

ესაუბრა **თენგიზ თომაშვილი.**

### კვირიდან კვირამდე

**„კომსომოლსკაია პრავდა“ — 6 ივლისი.** „ბელფორმა ყველას მიუჩინა ადგილი“. ჭადრაკში მსოფლიო თასის გათამაშების მეორე ეტაპის შედეგებს კომენტარს უკეთებს ანატოლი კარპოვი.

**„მოსკოვსკიე ნოვოსტი“ — 10 ივლისი.** „როგორ შლიდნენ ცდსა-ს გუნდს“. სტალინი გულგრილი იყო ფეხბურთისადმი, მაგრამ საბჭოთა ნაკრების დამარცხებამ იუგოსლაველებთან 1952 წელს ჰელსინკში იგი ძალზე აღაშფოთა.

**10 ივლისი.** „მოვიგებთ თუ არა ჩვენ უიმბლდონს“. ინტერვიუ სსრ კავშირის სახტელერადიოს სპორტულ კომენტატორთან, წარსულში ცნობილ ჩოგბურთელთან ანა დმიტრიევასთან.

**„სოვეტსკი სპორტი“ — 3 ივლისი.** რუბრიკას „ცხოვრების გაკვეთილები“ აგრძელებს ცნობილი საბჭოთა ფეხბურთელი ვაგიზ ხიდიატულინი.

**3 ივლისი.** „შინაური უცხოთა შორის“. ლონდონის პოლიციის გადაცმული აგენტები ფეხბურთის გულშემატკივართა შორის ტრიალებენ.

**6 ივლისი.** „სიტუაცია გულივერისათვის“. „როდესაც მე და ტკაჩენკო ერთად გამოვდივართ სათამაშოდ, მოწინააღმდეგისა ნამდვილად არაფერი არ მშურს“ — ამბობს არვიდას საბონისი.

**8 ივლისი.** „ძალზე დიდხანს მივცურავდი დინების საწინააღმდეგოდ“. გაზეთის სტუმარია ცნობილი ბრაზილიელი ავტომრბოლი აირტონ სენა.

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში
### უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ივლისისთვის (ძირითადი შემადგენლობანი)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 13 | 9 | 3 | 1 | 20-4 | 21 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 14 | 6 | 7 | 1 | 16-8 | 19 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 12 | 7 | 4 | 1 | 19-10 | 18 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 13 | 7 | 3 | 3 | 24-18 | 17 |
| „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 13 | 6 | 4 | 3 | 18-14 | 16 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 14 | 6 | 4 | 4 | 14-13 | 16 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 13 | 6 | 3 | 4 | 15-11 | 15 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 14 | 7 | 0 | 7 | 12-15 | 14 |
| „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 14 | 4 | 6 | 4 | 13-16 | 14 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 14 | 5 | 3 | 6 | 16-18 | 13 |
| „არარატი“ (ერევანი) | 14 | 4 | 4 | 6 | 8-12 | 12 |
| „დინამო“ (მინსკი) | 14 | 3 | 5 | 6 | 12-15 | 11 |
| „ნეფთჩი“ (ბაქო) | 14 | 4 | 1 | 9 | 13-20 | 9 |
| „დინამო“ (თბილისი) | 13 | 4 | 0 | 9 | 16-22 | 8 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 13 | 2 | 4 | 7 | 8-14 | 8 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 14 | 2 | 1 | 11 | 10-24 | 5 |

**გუშინ** მოსკოვში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-14 ტურის ბოლო მატჩი, ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკი“ და მინსკის „დინამო“. თამაში დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით 4:2.

# ინსპექტორ-მსაჯთა ახალი მოვალეობანი

**სსრ კავშირის** ფეხბურთის ფედერაციის საინსპექტორო კომისიის სხდომაზე განიხილეს ინსპექტორ-მსაჯთა დებულების ახალი პროექტი. დებულებაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია შეტანილი.

კერძოდ, პროექტის მიხედვით ინსპექტორის მოვალეობაში შედის მსაჯთა მთელი ბრიგადის მზადყოფნის შემოწმება თამაშის წინ, წინადადება არის 6-ბალიანი შეფასების ნაცვლად შემოიღონ ხუთბალიანი სისტემა: „5“ — ფრიადი, „4“ — კარგი, „3“ — საშუალო, „2“ — ცუდი, „1“ — ძალზე ცუდი.

საჭიროების შემთხვევაში ინსპექტორ-მსაჯს შეუძლია გამოიყენოს არა მარტო მასპინძელთა, არამედ სტუმართა ვიდეოჩანაწერიც. საინსპექტორო კომისიას განსაზღვრული აქვს დააწესოს ინსპექტორების მაქსიმალური ასაკიც — 70 წელი.

განიხილეს, აგრეთვე, უეფა-ს ეგიდით ჩატარებული საერთაშორისო მატჩების ინსპექტორ-მსაჯთა საკითხიც. საერთაშორისო კატეგორიის არბიტრთაგან ინსპექტორობის რეკომენდაცია მიეცათ პ. კაზაკოვს, ე. შკლოვსკის, კ. ანძიულისს და ტ. ბახრამოვს.

განიხილეს ორგანიზაციული საკითხიც. საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის მატჩზე მოსკოვის „ტორპედოსა“ და მოსკოვის „დინამოს“ შორის არ გამოცხადდა ინსპექტორი ვ. პოლუნინი, ამიტომაც მას 3 თვით აეკრძალა ინსპექტორობა. 2 თვით დისკვალიფიცირებულია ს. კონდაკოვი, რომელიც არ ჩამოვიდა ნიკოპოლის „კოლოსისა“ და ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ მატჩზე (I ლიგა). შენიშვნა გამოუცხადეს ინსპექტორებს ბ. ბელოზეროვს, ლ. სარქისოვს, ვ. აგაპოვს.

# დისკვალიფიკაცია 6 მატჩით

**ლანჩხუთის** „გურიის“ ფეხბურთელი გ. გოგრიჭიანი I ლიგის საკავშირო გათამაშების კალენდარულ მატჩში ლვოვის ასკ „კარპატისთან“ უწესოდ მოიქცა და უცენზურო სიტყვებით მიმართა მატჩის არბიტრს, რისთვისაც იგი მინდვრიდან გააძევეს.

გ. გოგრიჭიანს მანამდეც ჰქონდა მიღებული ორი გაფრთხილება. „გურიის“ ფეხბურთელთა საერთო კრებამ 6 კალენდარული მატჩით მისცა დისკვალიფიკაცია გ. გოგრიჭიანს. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ დააკმაყოფილა გუნდის თხოვნა.

### II ლიგა

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XII ტურის შეხვედრები. თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის სტადიონზე „შევარდენმა“-სპი-მ კამიშინის „ტექსტილშჩიკს“ უმასპინძლა. მასპინძლები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ ინიციატივას, მაგრამ ტერიტორიული უპირატესობის ანგარიშში ასახვა ვერ შეძლეს, ფრე — 0:0.

# წყალბურთელთა თემიდის მსახური

**მსაჯობა** იოლი არაა, მით უმეტეს წყალბურთში. აქ ხომ ნამდვილი ჭიდაობაა გაჩაღებული. ჭიდაობა — წყლის ზემოთაც და წყალქვეშაც. აბა, თუ ბიჭი ხარ, გაარჩიე მტყუან-მართალი, როცა ორ მეტოქე წყალბურთელს ხელები აღუმართავთ, მაგრამ ერთ-ერთი იძირება. ამ დროს, როგორც იტყვიან, წყალი დუღს და გადმოდუღს, მაგრამ წყალქვეშ რა ხდება? ამიტომაც ამბობენ, წყალბურთელთა მსაჯს ცხრა თვალი და ცხრა ყური უნდა ჰქონდესო. ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ წყალბურთელთა მსაჯს ავტორიტეტული არბიტრის სახელის მოსაპოვებლად წლები სჭირდება. აი, თბილისელმა ირაკლი კიკალიშვილმა კი ჩვენს ქვეყანაში ძალზე მალე მოიპოვა პირუთვნელი, ობიექტური და კვალიფიციური მსაჯის სახელი.

ირაკლი ამ გაზაფხულზე თბილისში გამართულ წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის IV ტურის შეხვედრებსაც სჯიდა. ამ შეჯიბრებაზე სამსაჯოდ მოწვეული იყო იტალიელი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ნანი პაჯი, რომელმაც ტურის დამთავრების შემდეგ თავისი სასტვენი ირაკლის უსახსოვრა.

— ამ სასტვენით მთელი ჩემი საარბიტრო კარიერის განმავლობაში ვმსაჯობდი, — ამბობს ნანი პაჯი. — სადღა არ მიმსაჯია: ჩვენთან, იტალიაში თუ საბჭოთა კავშირში, საფრანგეთში თუ ესპანეთში... სეულის ოლიმპიურ თამაშებზე სამსაჯო კარიერას დავამთავრებ. მინდოდა, რომ ჩემი სასტვენი სწორედ სეულში ვინმე ახალგაზრდა, ობიექტური და კვალიფიციური არბიტრისთვის გადამეცა. აქ, თბილისში, ისე მომეწონა ახალგაზრდა ირაკლი კიკალიშვილის მსაჯობა, რომ ჩანაფიქრის განხორციელება დავაჩქარე. ირაკლი ამ ტურის მომსახურე მსაჯთაგან ყველაზე ახალგაზრდაც იყო და დარწმუნებული ვარ იგი ჩემს იმედს გაამართლებს.

— რა თქმა უნდა, მიხარია, რომ ნანი პაჯიმ მსაჯთაგან მე გამომარჩია. ამ სასტვენს ძვირფას რელიკვიასავით გავუფრთხილდები და კარგი იქნება, თუ იგი სპორტსმენის დასასჯელად იშვიათად დამჭირდება.

— ირაკლი ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე საკმაო ავტორიტეტი მოიპოვა, — ამბობს საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, ცენტრალური ტელევიზიის კომენტატორი ვლადიმერ რამმაჯანი. — სწორედ ამიტომაა, რომ მას საკმაოდ ხშირად ყველაზე პრინციპული შეხვედრის



მსაჯობას ანდობენ. მახსენდება 1986 წელი. მოსკოვი. საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ტური, რომელშიც პირველი ექვსეულის გუნდები გამოდიოდნენ. მაშინ ირაკლის სულ ერთწლიანი მსაჯობის პრაქტიკა ჰქონდა, მაგრამ მას უკვე საიმედო არბიტრად იცნობდნენ. ამიტომ იყო, ერთ-ერთი ძალზე მნიშვნელოვანი, მოსკოვის „უნივერსიტეტისა“ და „მოსკვიჩის“ შეხვედრის მსაჯობა მას ანდეს. იმ შეხვედრაში ბრინჯაოს მედლების ბედი წყდებოდა. ირაკლიმ აქაც ჩინებულად იმსაჯა.

გვახსენდება შარშან თბილისში გამართული I ლიგის გუნდების ერთ-ერთი მატჩი, მაშინ იმ თამაშს, რომელსაც ირაკლი სჯიდა, ერთ-ერთი მხარისთვის ლიგაში ყოფნა-არყოფნის საკითხი უნდა გადაეწყვიტა. შეხვედრის შემდეგ საბჭოთა წყალბურთელების ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ბორის პოპოვმა, რომელსაც გუნდის, მოთამაშისა თუ მსაჯის მიმართ კომპლიმენტს თითქმის ვერ დააცდევინებ, ტრადიცია დაარღვია. გვითხრა, ირაკლიმ კარგად იმსაჯაო. თუმცა, უფროსმა მწვრთნელმა ჩვეულებას ბოლომდე არ უღალატა და ... ძინა, ამ ახალგაზრდას კიდევ ბევრი მუშაობა მართებსო.

— მართალია, — რომ ამბობენ, თქვენ ყველაზე ახალგაზრდა მსაჯი ხართ მათ შორის, რომლებიც უმაღლესი ლიგის ჩემპიონატების მატჩებს ემსახურებიან? — ვეკითხებით ირაკლის.

— არა, მთლად ასე არ არის. ამ მხრივ კონკურენციას ჩემი მეგობარი ირაკლი სანაძე მიწევს. 24-24 წლისანი ვართ, ჩვენი სპორტული ბიოგრაფია გაჭრილი ვაშლის გულივითა ჰგავს ერთმანეთს. თბილისის „ნორჩ დინამოელში“ ორივემ ერთად დავიწყეთ ვარჯიში. მრავალგზის გავიმარჯვეთ რესპუბლიკურ პირველობებში, საკავშირო შეჯიბრებებში. ერთად ვთამაშობდით საქართველოს ნაკრებში, „ბურევესტნიკის“ გუნდში... მსაჯობაც ორივემ 1985 წელს დავიწყეთ. ამ მხრივ ბედმა გამიღიმა, როგორც მსაჯის დებიუტი საერთაშორისო მატჩში შედგა. მაშინ თბილისში კუვეიტის ნაკრები თბილისის „დინამოს“ ხვდებოდა. მერე ვმსაჯობდი თბილისისა და საქართველოს პირველობებზე. იმავე წელს ქდანოვში უკვე I ლიგის საკავშირო პირველობაზეც ვიმსაჯე, მომდევნო წელს კი უმაღლესი ლიგის გუნდების მომსახურება დამევალა. შარშანწინ რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მომანიჭეს და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტიც დავამთავრე. ასე რომ, 1986 წელი ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი იყო.

ახლა ირაკლი კიკალიშვილი თბილისის № 1 სამშენებლო-სარემონტო სამმართველოში მუშაობს. ინჟინერია, მსაჯობა კი მისი ერთგვარი გატაცებაა და ცდილობს სპორტულ თემიდას ერთგულად ემსახუროს, ოღონდ, მართლმსაჯულების ქალღმერთივით თვალებახვეულმა კი არა, პირიქით, წყალბურთელთა მსაჯს ხომ გამახვილებული ხედვა და ალღო უნდა ჰქონდეს, თორემ ისე, თუ ბიჭი ხარ, მიდი და გაარჩიე, რა ხდება წყალქვეშ.

**ავთანდილ გურასაშვილი.**

ავტორის ფოტო.

# გამოთქვით თქვენი აზრი!

**„სოვეტსკი სპორტის“** ყოველკვირეულმა დამატება „ფუტბოლ-ხოკეიმ“ ამას წინათ გამოაქვეყნა საინტერესო წერილი.

ბელორეჩენსკელი ი. ფედორენკო რედაქციას ეკითხება: „რატომაა, რომ „ფუტბოლ-ხოკეი“, რომელიც ოდესღაც „ფუტბოლის“ სახელწოდებით გამოდიოდა და მხოლოდ ფეხბურთის თემატიკას ასახავდა, „ფუტბოლ-ხოკეიდ“ გადაკეთდა? რა კავშირი აქვს ჰოკეის ფეხბურთთან და, საერთოდ, ყინულს — მწვანე მინდორთან? ჩვენ ფეხბურთის მოყვარულთა მთელი არმია ვართ, გვინდა ფეხბურთზე ვიკითხოთ წერილები, ვიღაც ჩინოვნიკმა კი თავისი ბიუროკრატიული დადგენილებით გადაწყვიტა, რომ ჩვენ ფეხბურთთან ერთად ჰოკეიც უნდა „ავითვისოთ“.

თუ მაინცდამაინც ჰოკეი ასე საჭიროა, გამოუშვან ცალკე „ხოკეი“ და იქ გადაჭრან თავიანთი ყინულის საქმეები, ჩვენ კი ფეხბურთის მოყვარულთ, თავზე საყრელად გვაქვს საფეხბურთო საქმეები“.

რედაქცია მკითხველებს მიმართავს გამოთქვან თავიანთი აზრი, მისწერონ რედაქციას თავიანთი მოსაზრებები ამ საკითხზე.

მართლაც, განა საჭიროა გაერთიანდეს ეს ორი სახეობა? ფეხბურთის მოყვარულთა რაოდენობა შეუდარებლად უფრო მეტია ჰოკეისაზე, ამიერკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკების მცხოვრებთათვის ჰოკეი საერთოდ უცხო რამაა, ამიტომაც უმჯობესია „ფუტბოლმა“ ფეხბურთის საქმეებზე წეროს, ხოლო „ხოკეიმ“ ცალკე ჰოკეიზე.

მსურველებს შეუძლიათ თავიანთი მოსაზრებანი გაგზავნონ მოსკოვში: ინდექსი 101913, არხიპოვის ქუჩა № 8. „ფუტბოლ-ხოკეის“ რედაქციას.

### მოკლედ

**ჩოხატაურის** რაიონული თასის გათამაშებაში ფეხბურთელთა 16 გუნდი მონაწილეობდა.

ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ხიდისთავის კოლმეურნეობის გუნდი „გუბაზი“ და სოფ. მრეწვის „გრანიტი“. საინტერესო შეხვედრა დამთავრდა ხიდისთაველების გამარჯვებით — 3:0, ისინი რაიონული თასის მფლობელები გახდნენ.

მისასალმებელია, რომ ასპარეზობას კარგად გაართვა თავი ადგილობრივმა მსაჯთა ბრიგადამ.

**დავით ბურბანიძე.**

# საქმეში ჩაერია პრემიერ-მინისტრი

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მ. ტეტჩერმა 6 ივლისს თავის რეზიდენციაში მიიღო ამ ქვეყნის სხვადასხვა საფეხბურთო კლუბების ხელმძღვანელები, რომლებთანაც საუბარი ჰქონდა ფეხბურთის ფანატიკოსთა ხულიგნობასა და უდისციპლინობაზე, იმ უწესრიგობებზე, რაც ბოლო წლებში სულ უფრო საშიშ ფორმებს ღებულობს ინგლისში.

პრემიერ-მინისტრის შეხვედრა საფეხბურთო ბოსებთან ბრიტანელ გულშემატკივართა ხულიგნობის უშუალო შედეგია ევროპის ამასწინანდელ ჩემპიონატზე, რომელიც გფრ-ში გაიმართა. ინგლისელი ფანატები ყოველ დღე სისტემატურად თვრებოდნენ და მასობრივ დებოშს ტეხდნენ დასავლეთ გერმანიაში, რის შედეგადაც 200-ზე მეტი კაცი დააპატიმრეს, ბევრი მათგანი მსჯავრდებულთა სკამზე აღმოჩნდა. მ. ტეტჩერი ადრეც მიუთითებდა, რომ გულშემატკივართა ამგვარი თავაშვებულობა საგანგაშო ფაქტორად იქცა, ეს საერთოდ ბრიტანეთის საერთაშორისო პრესტიჟს ვნებს, ხოლო როგორც ტელეპროგრამა „აიტი-ვის“ კომენტატორმა აღნიშნა, ევროპის ჩემპიონატზე მომხდარმა სკანდალურმა ამბებმა „ხელისუფლების მოთმინების ფიალა აავსო“.

უმაღლეს დონეზე ჩატარებულმა ამ თათბირმა სერიოზული უთანხმოებანი წამოჭრა მ. ტეტჩერსა და ბრიტანული ფეხბურთის ხელმძღვანელებს შორის. პრემიერ-მინისტრმა კატეგორიულად მოითხოვა საფეხბურთო მატჩებზე დაუშვან მხოლოდ სპორტულ კლუბებში რეგისტრირებული წევრები, მაგრამ ინგლისის ფეხბურთის ხელმძღვანელებმა ამაზე გადაჭრით უარი თქვეს. რახან მხარეები ვერ შეთანხმდნენ, კაბინეტის მეთაურმა განაცხადა, რომ მთავრობა ამ პროგრამას იძულებითი წესით განახორციელებს და კანონშიც შესაბამის პუნქტებს შეიტანს.

ბრიტანული ფეხბურთის მეთაურებს მიაჩნიათ, რომ ამგვარი ღონისძიებანი ეფექტს არ გამოიღებს, რომ ესაა რეპრესიული ზომა უპირველეს ყოვლისა თვით ფეხბურთის, როგორც სპორტის სახეობის მიმართ, მათი აზრით პრობლემას აქვს არა სპორტული, არამედ სოციალური საფუძველი: ხულიგნობა, ალკოჰოლიზმი, თავნებობა, იმ ექსტრემისტულ დაჯგუფებათა ზრახვანი, რომლებიც წინასწარ გეგმავენ უწესრიგობას სტადიონებზე.

საყურადღებოა, რომ როგორც კი გამოქვეყნდა მ. ტეტჩერისა და ბრიტანეთის საფეხბურთო კლუბების ხელმძღვანელთა შეხვედრის შედეგები, ცნობილი გახდა ბრიტანეთის ფეხბურთისთვის რამდენიმე ფრიად სავალალო ცნობაც: გამოცხადდა, რომ ფეხბურთის ასოციაციამ უარი განაცხადა ინგლისის ნაკრების იტალიაში გამგზავრებაზე, სადაც უნდა გამართულიყო ამ ორი ქვეყნის ეროვნული გუნდების ამხანაგური მატჩი. ორგანიზატორებს ეშინიათ ბრიტანელ გულშემატკივართა ხულიგნური გამოსვლების.

კოლინ მოინიჰემმა, რომელიც მთავრობაში სპორტის სახეობებს განაგებს, განაცხადა, რომ ძალზე საეჭვოდ მიაჩნია ინგლისელთა მონაწილეობა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზეც.

უკვე ოფიციალურად გამოცხადდა, რომ იტალიისა და ინლისის ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედ-



რა 16 ნოემბერს იტალიის ერთ-ერთ ქალაქში არ შედგება. ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის მდივნის ტედ კროკერის განცხადებით ამჟამად შექმნილ ვითარებაში ამგვარი მატჩის ჩატარება წინდაუხედაობა იქნებოდა და, საერთოდ, ინგლისის ნაკრების ყოველი მატჩის შესახებ საჭიროა წინასწარი მსჯელობა ასოციაციის სხდომაზე.

ტ. კროკერმა ეს განცხადება წაიკითხა მ. ტეტჩერისა და ბრიტანეთის ფეხბურთის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ დადგენილება მიიღო იმის თაობაზე, რომ ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე არ ჩატარდება ტურნირი ინგლისის კლუბებს „ტოტენჰემსა“ და „არსენალს“, იტალიის „მილანსა“ და გფრ-ის „ბაიერს“ შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დანაშაული და სასჯელი

**როტერდამი.** ჩვენ უკვე ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ კალათბურთელ ვაჟთა ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირზე, საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის გუნდების შეხვედრის დროს, მოხდა უსიამოვნო ინციდენტი, რომლის შედეგად არბიტრმა მოედნიდან გააძევა იუგოსლავიელი პასპალი და ჩვენი ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი ბელოსტენი.

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ტექნიკურმა კომისიამ იმსჯელა ამ ინციდენტის შესახებ და ფედერაციის გენერალური მდივნის ბორისლავ სტანკოვიჩის დაჟინებითი მოთხოვნით საეჭვო გადაწყვეტილება მიიღო: ბელოსტენი ორი მატჩითაა დისკვალიფიცირებული, პასპალი კი — ერთით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა გუნდი ესპანელთა წინააღმდეგ თავისი მთავარი ცენტრის გარეშე ითამაშებს. ამან ჩვენი ნაკრების მდგომარეობა საგრძნობლად გაართულა.

მორიგი შეხვედრა საბჭოთა გუნდს ინგლისთან ჰქონდა. ეს შეხვედრა მოვიგეთ ანგარიშით — 123:83 (52 44). ამ დღეს გფრ-ის ნაკრებმა საფრანგეთის გუნდი დაამარცხა — 96:90 (47:48).





# მსოფლიო ჩოგბურთის ელიტა

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ უიმბლდონის ტურნირის შემდეგ მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენთა ოცეულები დაასახელა. ამ კლასიფიკაციაში მოხვდნენ საბჭოთა ჩოგბურთელებიც. ასე მაგალითად, ანდრეი ჩესნოკოვს სიაში მეთვრამეტე ადგილი უკავია, ნატალია ზვერევას — მერვე, ლარისა სავჩენკოს კი — მეცხრამეტე.

**ვაჟები.** 1. ი. ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), 2. ს. ედბერგი, 3. მ. ვილანდერი (ორივე — შვეცია), 4. ბ. ბეკერი (გფრ), 5. მ. მეჩირჟი (ჩეხოსლოვაკია), 6. ა. აგასი (აშშ), 7. პ. კეში (ავსტრალია), 8. ჯ. კონორსი, 9. ბ. გილბერტი, 10. ტ. მაიოტი (ყველა — აშშ), 11. ი. ნოა (საფრანგეთი), 12. კ. კარლსენი (შვეცია), 13. ა. ლეკონტი (საფრანგეთი), 14. ი. სვენსონი (შვეცია), 15. ე. სანჩესი (ეკვადორი), 16. გ. პერეს-როლდანი (არგენტინა), 17. ა. იარიდი (შვეცია), 18. ა. ჩესნოკოვი (სსრ კავშირი), 19. ჯ. მაკინროუ (აშშ), 20. ა. გომესი (ეკვადორი).

**ქალები.** 1. შ. გრაფი (გფრ), 2. მ. ნავრატილოვა (აშშ), 3. გ. საბატინი (არგენტინა), 4. კ. ევერტი, 5. პ. შრაივერი (ორივე — აშშ), 6. ჰ. სუკოვა (ჩეხოსლოვაკია), 7. კ. კოდე-კილში (გფრ), 8. ნ. ზვერევა (სსრ კავშირი), 9. ზ. ჰარისონი (აშშ), 10. ჰ. ჰაინიკა (გფრ), 11. ლ. მაკნეილი (აშშ), 12. მ. მალეევა (ბულგარეთი), 13. ნ. პროვისი (ავსტრალია), 14. ა. სანჩესი (ესპანეთი), 15. ჰ. კელეში (კანადა), 16. პ. ფენდიკი, 17. მ. ფერნანდესი (ორივე — აშშ), 18. ა. მინტერი (ავსტრალია), 19. ლ. სავჩენკო (სსრ კავშირი), 20. ბ. ფულკო (შვეიცარია).

საინტერესოა რომელი ქვეყნის რამდენი ჩოგბურთელი მოხვდა უძლიერესთა სიაში.

| | ვაჟები | ქალები | სულ |
|---|---|---|---|
| აშშ | 5 | 7 | 12 |
| შვეცია | 5 | — | 5 |
| გფრ | 1 | 3 | 4 |
| ჩეხოსლოვაკია | 2 | 1 | 3 |
| სსრ კავშირი | 1 | 2 | 3 |
| ავსტრალია | 1 | 2 | 3 |
| საფრანგეთი | 2 | — | 2 |
| ეკვადორი | 2 | — | 2 |
| არგენტინა | 1 | 1 | 2 |
| ბულგარეთი | — | 1 | 1 |
| ესპანეთი | — | 1 | 1 |
| კანადა | — | 1 | 1 |
| შვეიცარია | — | 1 | 1 |

საბჭოთა კავშირის ჩოგბურთელთა გვარებს ამოიკითხავთ უძლიერეს ქალთა წყვილების სიაშიც. აქ სავჩენკოსა და ზვერევას დუეტი მეოთხე ადგილზეა დასახელებული, ნავრატილოვა-შრაივერის, გრაფი-საბატინის და კოდე-კილშ-სუკოვას დუეტების შემდეგ.

**სურათებზე:** შტეფი გრაფი (მარცხნივ) და ივან ლენდლი.

## საჭადრაკო კომპოზიცია ~ ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე

### ეტლების რაინდი

ქართული საეტიუდო ხელოვნება თავისი ისტორიული განვითარების უკვე მეექვსე ათწლეულშია გადასული. ხოლო ჩვენი ეტიუდისტების ოსტატობა და სპორტულ-შემოქმედებითი მიღწევები კარგა ხანია საბჭოთა კავშირის ფარგლებს გასცილდა. ამჟამად ძნელია მოიძებნოს მსოფლიოში ჩატარებული კონკურსი ეტიუდების შედგენაში, რომ მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლის გამოსვლა პრიზით ან სხვა შეფასებით არ ყოფილიყოს აღნიშნული.

რუბრიკის დღევანდელ გამოშვებაში გვინდა მოგითხროთ ერთ-ერთ მათგანზე, ვისი პირველი გატაცება საჭადრაკო კომპოზიციით მამის, პედაგოგ იოსებ კალანდაძის ზეგავლენით დაიწყო. ძნელია განსაზღვრო, თუ რატომ არ გაჰყვა ველიმირ კალანდაძე პრობლემისტი მამის კვალს და ძირითად შემოქმედებით ჟანრად ეტიუდი აირჩია. იქნებ იმიტომ, რომ მას 50-იან წლებში ლიდერად მოვლენილი გია ნადარეიშვილის საკონკურსო წარმატებები ხიბლავდა, ან შეიძლება ამ დარგში ძალების მოსინჯვა საქართველოში საეტიუდო ხელოვნებისადმი საზოგადოებრივი ინტერესის ზრდამ უკარნახა...

ვ. კალანდაძის პირველ ნაწარმოებებს რომანტიკული ელფერი დაჰკრავს. თუმცა მის სტილს კლასიკური მემკვიდრეობისადმი ინტერესმაც საგრძნობი კვალი დაამჩნია. კერძოდ, მას სადა, ენდშპილთან მიახლოებული პოზიციების საიდუმლოებების გახსნის და წინამორბედ კლასიკოსთა იდეების დამუშავების გზები იზიდავდა. მაგრამ ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედი თვითდამკვიდრების, საკუთარი ხელწერის შექმნის სურვილით არის შეპყრობილი. ამიტომაც 70-ან წლებში, როცა ეტიუდისტმა მეტი ყურადღება დაუთმო პრაქტიკულ ჭადრაკს და ოსტატობის კანდიდატის სათამაშო თანრიგს მიაღწია, მის საკომპოზიციო შემოქმედებაში თანდათან გაბატონებული ადგილი ეტლების დაბოლოებებმა დაიკავეს.

**ვ. კალანდაძე, 1974**



მოგება

თეთრებმა, ვიდრე მოგებაზე თამაშს დაიწყებენ, შავ პაიკს უნდა მიხედონ. 1. ეb1! (1. ეf8? ეe8! ყაიმით) ეe1 2. ეb5+ მფa6! (პაიკის დანდობის მიზეზი ბოლოში გამოჩნდება). 3. ეf5 f1ლ 4. ე:f1 ე:f1 5. მფg7 ეg1+ 6. მფf7 ეf1+ (კალანდაძისეული სტილისათვის დამახასიათებელი სისტემატური მოძრაობის დასაწყისი) 7. მფe7 ეe1+ 8. მფd7 (მერვე ხაზზე გადასვლის შემთხვევაში შავები ითამაშებენ ეb1 და ეb8) ეd1+ 9. მფc7 ეc1+ 10. მფb8 ეb1+ 11. მფa8 მეფემ თავშესაფარი ნახა და ლაზიერის გაცოცხლებას თითქოს წინ ვერაფერი დაუდგება, მაგრამ... 11. ...ეd1! და ირკვევა, რომ 12. h8ლ? ვერ იგებს, რადგან 12. ...ეd8+! 13. ლ:d8 და შავებს პატი აქვთ (აი, სად გამოადგათ მათ თეთრი პაიკი!), და მაინც, თეთრებმა უფრო შორს გათვალეს ვარიანტი — 12. h8ე! და იგებენ. მეოთხე სვლაზე დაღუპული ეტლი თითქოს ფერფლიდან აღსდგა და თეთრებს გამარჯვება მოუტანა. თემას, როცა მოკლული ფიგურა ხელმეორედ ჩნდება დაფაზე, „ფენიქსი" (ანუ „ფასკუნჯი") ეწოდება.

ეტლები და მათი საპაიკო გარემოცვა მეტად ნაყოფიერი და საეტიუდო იდეებით მდიდარი მასალა აღმოჩნდა მაძიებელი ეტიუდისტის ხელში. თითქმის ნებისმიერი თემა (მამათი, პატი, სისტემატური მოძრაობა, პოზიციური ყაიმი, მსუბუქი ფიგურების გაცოცხლება და სხვ.) იქნა მის მიერ მხოლოდ ეტლების საშუალებით დაძლეული, რაც კარგად ჩანს აგრეთვე მის მიერ 1978 წ. გამოცემულ წიგნში „საეტიუდო იდეები ეტლების დაბოლოებაში".

მართალია, ეტლების ეტიუდები ფართოდ არის წარმოდგენილი კლასიკოსების — პლატოვების, რინკის, გრიგორიევის, გერბსტმანის და განსაკუთრებით ავსტრიელი ა. ვოტავას შემოქმედებაში, მაგრამ ვ. კალანდაძის ეტლებმა და განსაკუთრებით მათმა ორნამენტულმა მოძრაობამ თანამედროვე და ამასთან, რომანტიკული ჟღერადობა მიანიჭეს შექმნილი ნაწარმოებების სიუჟეტებს. თვით ავტორს კი ეტლებისადმი ერთგულებამ ბევრი საკონკურსო წარმატება და საერთაშორისო ოსტატის წოდება მოუტანა. ვ. კალანდაძის „საეტლე ნოველისტიკას" ეტიუდის სამყაროში ბევრი მიმდევარიც გამოუჩნდა, ბევრმა შესანიშნავი ნაწარმოებების სერიაც შექმნა, ამასთან ღრმა კომბინაციური და ანალიტიკური მომენტებით გაამდიდრა როგორც ეტლების ენდშპილი, ისე მხატვრული ეტიუდი. მაგრამ კალანდაძის წვლილი ამ მასალის მხატვრულ დამუშავებაში, მისი ერთგულება ეტლებისადმი და სპეციფიკურ მასალაში ახალი გზების ძიებისაკენ სწრაფვა, უდავო აღიარებასა და პატივისცემას იმსახურებს.

**ვ. კალანდაძე, 1986**



ყაიმი

შავი პაიკის წინააღმდეგ თეთრებს გადამწყვეტი ბრძოლა მართებთ. 1. ეa3+ მფd4! 2. ეa4+ მფd5 3. ეa5+ მფe6! 4. ეa6+ მფf7 5. eh6! e1ლ 6. ეf6+! და ეტლის აღების შემთხვევაში თეთრებს პატი აქვთ; 6. ...მფg7 სვლის შემდეგ კი ეტლი „შმაგი" ხდება და ყაიმია. ხოლო თუ 5. ...ეa1, მაშინ 6. ეh7+ მფf6 7. ეh6+ მფf5 8. ეh5+ მფe6 9. ეh6+ მფd5 10. ეh5+ მფc6 11. ეh6+ მფb7 (მეფემ სხვა ფლანგზე გადაინაცვლა) 12. ეe6 e1ლ 13. ე:e1 ე:e1 პატი! პარალელური სინთეზის შემცველი უზადო და ნათელი მინიატურაა!

გთავაზობთ ეტლების მასალაზე შედგენილ გონებამახვილურ ნაწარმოებს, რომლის ამოხსნა, იმედია, არ უნდა გაგიჭირდეთ.

**ა. ვოტავა, 1935**



მოგება

ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მეგობრებო!

### ამოხსნა

„ლელოს" 26 ივნისის ნომერში დაბეჭდილი ფ. გიგოლდის სამსვლიანი ამოცანის ამოხსნაა: 1. ეa3!! მფc4 (მფe4) 2. ლc6+. ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგზავნა სწორი პასუხი: ნ. კახიძე (ბათუმი), გ. ელიოსიძე (ბორჯომი), ო. მამულაშვილი, ლ. ხარატი (ორივე — თბილისი).

## ლიდერი შეიცვალა

„ტურ დე ფრანსის" მეექვსე ეტაპი ჭეშმარიტად „სპრინტერული" იყო. ლიველიდან ვასკეალამდე ველოსიპედისტებს სულ რალაც 52 კილომეტრი უნდა დაეფარათ. ფინიშთან პირველი მიიჭრა ინგლისელი შონ უეიტსი — 1:03.22. მომდევნო ადგილები დაიკავეს იტალიელმა რობერტო ვისენტინიმ და შვეიცარიელმა ტომი რომინგერმა.

შეიცვალა ლიდერი საერთო ჩათვლაში. მეშვიდე ეტაპის სტარტზე ყვითელ მაისურს ჰოლანდიელი ელე ნიიდამი ჩაიცვამს, რომელიც ამ როლში თავის თანამემამულეს ტეუნ ვან ფლიეტს შეცვლის.

## „სპორტპროგნოზი"

თბილისის „დინამოს" თამაშებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის შედეგები:

1—1, 2—1, 3—1, 4—1, 5—1, 6—1, 7—2, 8—1, 9—2, 10—1, 11—1, 12—1, 13—2.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი **თ. გაჩეჩილაძე.**

## „სპორტპროგნოზი", 29-ე ტირაჟის პროგრამა (16-17 ივლისი)

| | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 1. „მეტალისტი" (ხარკოვი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 16.VII | 20 | 40 | 40 |
| 2. „დინამო" (მოსკოვი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 16.VII | 30 | 50 | 20 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)** | | | | |
| 3. „დაუგავა" (რიგა) — „პამირი" (დუშანბე) | 16.VII | 60 | 30 | 10 |
| 4. ასკ „კარპატი" (ლვოვი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 16.VII | 50 | 40 | 10 |
| 5. „როტორი" (ვოლგოგრადი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) | 16.VII | 40 | 40 | 20 |
| 6. ასკ (როსტოვი) — „კოლოსი" (ნიკოპოლი) | 16.VII | 70 | 20 | 10 |
| 7. „გეოლოგი" (ტიუმენი) — „დინამო" (ბათუმი) | 16.VII | 70 | 20 | 10 |
| 8. „დინამო" (სტავროპოლი) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) | 16.VII | 60 | 30 | 10 |
| 9. „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „შინიკი" (იაროსლავლი) | 16.VII | 40 | 40 | 20 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 10. „ფილი" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 16.VII | 50 | 10 | 40 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 11. „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) | 17.VII | 20 | 30 | 50 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)** | | | | |
| 12. ცსკა — „როსტსელმაში" (როსტოვი) | 17.VII | 80 | 10 | 10 |
| 13. „კუზბასი" (კემეროვო) — „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 17.VII | 50 | 30 | 20 |

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 10 ივლისი.** რიტმული ტანვარჯიში — **9.15 (1)**; „სპორტლოტოს" ტირაჟი — **10.20 (1)**; საფეხბურთო მიმოხილვა — **23.45 (1).**

**11 ივლისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; ჩემპიონები რჩევას აძლევენ დამწყებ სპორტსმენებს — **17.30 (1)**; საფეხბურთო მიმოხილვა — **20.30 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 10 ივლისი.** საქართველოს საფეხბურთო პირველობის მიმოხილვა — **15.35**; საფეხბურთო მიმოხილვა — **23.45.**

**საქართველოს რადიო. 10 ივლისი.** რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი" — **14.30.**

გ. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი „შევარდენი"

**ფეხბურთი**

10 ივლისი

II ლიგა, IX ზონა

„შევარდენი"-სკი (თბილისი) — „სოკოლი" (სარატოვი)

დასაწყისი 19 ს.

**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:** წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58, „მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 XXII უე 10796